

იმპერიის

№ 21

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

№ 21

გაზეთის ფასი:

12 თვე	10 მ.	10 მ.
11	9	50
10	8	75
9	8	—
8	7	25
7	6	50
6	6	—
5	5	50
4	4	75
3	3	50
2	2	75
1	1	50

ფელქინის საზოგადოება
 1. ხელის მოწერის დროს—
 5 მ. და თბილისის 1-ს—5 მ.
 2. ხელის მოწერის დროს—
 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და
 მარიაპოლისის 1-ს—3 მ.
 3. ხელის მოწერის დროს—
 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თი-
 ბათის 1-ს—2 მ. და ენკენი-
 სის 1-ს—2 მ.
 ვინც ამ ვალზედ ფულს არ
 შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა
 მოესობა.

„იმპერიის“ რედაქცია გალაკვილი ზუზუნის ქუჩაზედ, ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში, ქესამე სართულში, თამაშეუბების ქარვასლის ჰორდაზირ, ნეიშელფერის საეპროფერის გვერდით, ერეკის მოედნის მხალდად,
 დღის დღის 8 საათიდან ნაშუადღეის 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო
გაზეთი „ივერია“
 განახლებულია რედაქციით ჯერ-ჯერობით ვერ გამოდის. გაზეთი კი დავ რამდენისავე დღის განმავლობაში კველის რედაქციითა და წინანდელი ფორმისა უნდა გამოვიდეს.

ტფილისის სამარხ კასის საზოგადოებრივი კრება

დანიშნული სათავად-წინაურ კარვასლაში, მამულის სახარდევლო კანტონის, № 153. შობათს, თებერვლის 12, საღამოს 6 საათზედ,
 განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგერთ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის.

ტფილისის საზოგადოებრივი ანტირებრიზა საიბ. თეატ. არტ. ლ. დ. დონსკოისა.
 შარსკეის, 11 თებერვალს, დღისათ 1-ლ და მე-2 განსახილველად დასამტკიცებლად მამულ-ქალთა საზოგადოებრივი წარმომადგენლის აქტებს **„მეტრიკა“**,
 თებერა 4 მოქმ., მუსიკა მასენენის.
 მონაწილეობას მიიღებენ: ქინი დონსკაია-ენინვალი, დიმიტრიევ-პოსკოვისკისა, გორსკაია, ზასლავსკაია; ბანი პოლოვინსკი, გალუცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი, შერტოვი; კავალსკი-მუსიკის მიკლაშვიცი, უფროსი რევიზორი გეცივიჩი, დასაწყისი 8 საათზედ. შობათს, 12 თებერვალს—M-II ნიტუში, კამ. თებერა 4 მოქმ., მუსიკა გერგესი. ბილეთები იყიდება გამგე ო. კელვრთი.

ქართულენოვანი მკურნალობა.
ალექსანდრე-მისი-მისილი, სარდლის სარდლის-ქე. იღებს საფორმულად ავადმყოფებს და საზარე-სესიებზედ რანგით დამსახურებულ უფულად, ნაშუადღეის 5 საათიდან 6-მდე. ოფის ქუჩა, № 15

დინასი-მისი-მისილი—ფორის, მკლავისა და ბარბის ქუჩის კუთხე, ფოსტის ჰორდაზირ მუსიკისა და სხვ., № 18. იღებს ავადმყოფებს დღით—9—11 და საღამოთა 6—8-დე.

კილინ მისი 5. ტყუელავილი
 იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოფის ქუჩა, № 31.

3. ს. მუსხელიანი—ქარაიხისა და დიდის მაზრის ქუჩის კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალთ ავადმყოფებს: დღით 12—2 ს., საღამოთა 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჭამე სარილო—ხეტირბერგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გეგელიანი კონსტანტინე—ქვის-ხედი ქუჩა, სახლი მიდუკავის, № 5.

გაგავილი გრიგოლ—კახეთის ქუჩა, № 19.

იმავე საავტორო ტრიალიდან ატყობინებენ: რამაც რუსების პატარა რაზმმა იერში მოიტანა ფან შინზე. რუსებმა შობათს დამით მიძიე ზარბაზნები დაუშინეს ლაპარაკისაო.
 სიტუნიდან ატყობინებენ: თითქმის განუწყვეტელი სროლა ზარბაზნებისა და თოფებისა. ხშირად მტრობას მავრობულ ურთიერთობა მოსდევს ხოლმე. ჩვენს პოზიციებზე მუსიკა უკრავს. იაბონელები თხრილებიდან „ურა“-ს ჰყვირიან, ამასთან ქალაქის ბურთებს გზავნიან ზედ-წარწერით, ვითომ მალე ზაი ჩამოვარდებოაო.
 ლონდონიდან ატყობინებენ: აღმოსავლეთი კამიზურა ატყობინებს იაბონის მთავრობას, რომ ჩემი ესკადრა ინდოეთის ოკუპენს შესავალთანააო. ფიქრობენ, რომ მალე დიდი საზღვაო ბრძოლა მოხდება.
 იმავე საავტორო ცინზენჩენიდან (ალ-მოსავლეთისკენა) ატყობინებენ: იაბონელებმა ჩვენს ჯარს ცინზენჩის ქედისაკენ დააბეზინეს. საღამო ეამზე ეს ქედის წვივართვის. მეორედ დღეს ჩვენმა ჯარმა კიდევ უკან დაიწიაო.
 აბი-ნეკელებს დაჯავა ზოტ-არტურმა. იაბონელებმა ოვიციკალურად გამოაცხადეს, რომ გენერალმა ნოვოპროტარტურში რუსებისგან იმდენი სურსათი ჩიბარა, რომ ეს სურსათი რუსებს ოთხ თვეს მინც ცოფოდათ. იაბონელებმა, სხვათა შორის, ხელთ იგდეს 115,000 ტონა ნახშირი (1 ტონა 62 ფუნტს უდრის), 40,000 ფუთი სუბარი, 8,000 ფუთი ბრინჯი, 17,000 ფუთი დიკის ფქვილი, 2,800 ფუთი შაქარი და ერთის თვის სამყოფი ცრბო, კონსერვები და სხ. გარდა ამისა, იაბონელებს ერგათ აუარებელი ტყვი; ჩემები, ტილო, მაული და სხვა საქონელი. („რ. ვ.“).
 ახმანელებს გეგმება. პორტ-არტურის ალბის შემდეგ იაბონელები სამ ბანაკად გაიყვნენ: ზოგი ახმანს, ჩვენს მიზანს მივლწვიუ, რუსები ჩრდილოეთისაკენ გავდევნენ, პორტ-არტური, კორეია და ლიანოლუნის ნახევარ კუნძული წავართვიო და, თუ რუსეთს შეუძლიან რამე, რაც დამკარგა, უკანვე დაბრუნდეს; ზოგი ახმანს, რუსებს უკანასკნელი თავშესაფარი—ვლადიკავკასი უნდა წავართვათო და ზოგი—როტა უნდა დაგივდეს, ხარბინიც უნდა ჩამოვაცალოთო („ნ. დ.“).
 გენერალი ნოვო. „ტომს“-ის კორესპონდენტი ტრაკიოდან იუყებდა: დადნის გვირგვინით შემოსილი და ამომავალ მზის ქვეყნის მამარჯვებული გენერალი ნოვო გსლა მთელს იაბონიში ეველზედ უფულური კაცი უნდა იყოს. ვერვალ ნოვის ერთი შვილი ცინჯალუსთან მოუკლეს, მეორე—203 მეტრთან გორის ალბის დროს და დისწულით—ერლუნგშანის ფორტის აფეთქების დროს. ნოვო ყოველთვის თავშეკავებული და გულჩახვეული კაცი იყო, როცა შვილების დაბოცვის ამავი წავატყობინეს, ნოვო ხმაც არ ამოიღო, შერბოქ არ შეიკუთვნა და თავის დარდი არავის არ შეატყობინა, მაგრამ იმის შტაბის აფიცრებს მვერჯელ უნახავთ რომ ეული და მთელს ქვეყანაზედ მართოდ მართო დარჩენილი მახუცი ნოვი წულში მოხრილი, და გაშეშებული იჯდა, თვალზედ ხელები ჰქონდა მიფარებული, ტიროდა და თავის უკანასკნელ ნუგეშს გლოვობდა.
 ამბობენ, იაბონის იმპერატორს უნდა ნოვი ბრძოლის ველიდან გამოიწვიოს და თავის ორის შვილის მემკვიდრეების აღზრდა ჩააბაროს. ამით მიკალს უნდა, რომ ეული მოხუცს, გამარჯვებულს ნოვის, თავისი პატრიარქის და თანაგრძობა და უმტკიცოსო („ნ. დ.“).
 ვერალი ამბები. „ნოვ. ერ.“-ის ლონდონიდან სწერენ: მთელი ქვეყანა დიდს ყურადღების აქცევს იმის, რომ პორტ-არტურელი რუსი აფიცრები დამ ეხლოვ-
 თვითი მარცხენა ფრთე გადავიდეს. 12 იანვ. საღამოს ჩემს ლაშქარს ვუბრძანე, არას გზით უკან არ დაწვიოთ-მეთქი. მე მყვანდა 62 ბატალიონი. 13 იანვარს დილით საერთო ბრძოლა დაიწყო. საღამოზე გამოიკვია, რომ ის რაზმი, რომელიც სანდებუსკენ გზას იკავებდა, ვერაფერს ხდებოდა. მთავარ-სარდალს. გენ. კურობატკინს რეზერვად 60 ბატალიონი ჰყვანდა. საქმის მდგომარეობა საქაროდ შევტყობინე და ვთხოვე, ჯარი მომავალ-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე. იაბონელებს კურობატკინის შუბლის ჯარზე განგებ მიჰქონდათ იერიში, რა არის, შევამინათ და გრიპნებერგის საშველიად ჯარი არ გავაგზავნიოთო. კურობატკინმა იფიქრა, ვი თუ იაბონელები მე მომესვენნენო, და ამიტომ ჯარი არ მომავალია. ამისა მიუხედავად მე მაინც ხეივრუტის ალბა გადავიწყვიტე. მეორედ დღეს, 14 იანვარს, ბრძოლა განახლდა: მე ხელმწიფედ ვთხოვე კურობატკინს, ჯარი მომავლე-მეთქი, ვემუდარებოდი, ვებეჭებოდი, მაგრამ ამოდ, ერთი კაციც არ მომავალია. 5 საათზე კურობატკინმა შემომითვალა, მგონია იაბონელები ჩემზე იერიშს მოტანას აპირებენ და საქაროდ აქვთ წამოდიოთ. იაბონელებმა თვითნებ შეზღუდეს ჯარი ჩემს წინააღმდეგ გამოგზავნეს; მამასადაემე, შუბლის ჯარი შეუშორდათ და, აბა, როგორ ვაგმედადენენ და კურობატკინზე იერიშს როგორ მიტანდენ? იმათ მხოლოდ დემონსტრაცია მოახდინეს და ბრძოლაც მოიგეს. კურობატკინის ბრძენებამ—უკან დაიხიეთო—ჩემზე აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ბრძენება მივიღე თუ არა, დავწმუნდი, რომ ბრძოლის ველზე ჩემი დარჩენა შეუძლებელი იყო და ამიტომ კურობატკინს მეორედ დღესვე რაბორტი მივართვი და ვთხოვე, დამითხოვეთ-მეთქი. („ნ.“)
 მომავალი ბრძოლა შესწავ. „ნ. ვ.“-ის მუდენიდან ატყობინებენ: იაბონელებმა თვითნებ მარცხენა ფრთე ძალიან გაამაგრეს. ყველა ფანს ზარბაზნებითა და ტყვიის მფრქველებით იცავენ. იაბონელების ბანაკიდან დღე და დამ ხმაურობა, მუსიკა და სიმღერა ისმის. („ნ. ვ.“). კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბარონი შტაკელბერგი დაიჭრა. („ნ. ვ.“).
 შახსა და ტაიბახს შუა იაბონელების პოზიციები მიუვლია. იაბონელებმა თვითნებ პოზიციები ორ რიგად გაამაგრეს. ირგვლივ გააკეთეს სამრეკო თხრილები. ეკლიანი მათეულების ლაბებები, ორმოები, საფრები, სანგრები და სხ. სოფლებში ყოველი ქობი ფორტად აქციეს. იაბონელები ამ სიმარჯვებში მშვიდობიანად ცხოვრობენ, რუსებს დამშვიდებულნი მოვლიან და დარწმუნებულნი არიან, რომ წინააღმდეგობის რუსები ამ სანგრებში და თხრილებში კისრის მოიტყვენ. („რ.“).
 პეტრე, დღემოთა საავტორო ხუან შანიდან დღემოთ ატყობინებენ: ცინზენჩის მიდამოებში იაბონელები წინ ვალაშქრებს განაგრძობენ. 6 თებერვალს თოფისა და ზარბაზნის სროლა იყო. დღეს იაბონელებს მიშველი ჯარი მოუვიდათ და შუადღიდან ცენზინინის უფლებების ზარბაზნი დაუშინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უფრო ბეჯითად მოდიან წინა. იაბონელებს რვა ბატალიონი ჰყავთ ცხადლ-ჩენზინინის შუა.

ახალი განცხადება

საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„იმპერია“

ფასი 10 მანეთი მართს წლით

ცალკე ნომერი 3 კაპიკი

წელიწადი ოცდა-მეცხრე

გამომცემელი ანტონ-დავითას

განახლებულია რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადაწმული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდგენს საერთო სათაურით: „ივერის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებულია: იქნება: ბელოტურისტული, პუბლიცისტური, ეკონომიური და ისტორიული წერილები, უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსაღები ცნობები დარბებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე სანრემიო წიგნებშიაც იქნება სოლომესტრატევი და სხვა-და-სხვა ილიუსტრაციები.

გაზეთის წელიწადი ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილად: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან.; ვინც ნახევარ წლით ან თვეურად გამოიწერს, უნდა შეიკრძალოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებსა და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შედგავითან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსავლიანი შესრულდებოდეს.

საზოგადოებრივი ადრესი: ტიფლისი, რედაქცია „Иверія“

სიერკელი

კერძო სამკურნალო

მედიკოს ნავასარიანისა
 (კუთხოში, გორანკოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღეს, კვირადღეებს გარდა

დიღალა ობიტი:

ბ. შ. ჩიკაბანი —9 საათიდან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობებისა.
ბ. ა. ახათიანიანი —11—12 საათამდე—კანონი, და ეფერულ ხორბრთული ავადმყოფობისა.
ფ. ი. შახანასანი—დიღალა 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ბ. ი. გემელიანი—12—1 საათ. ყელისა, მუხისა და ცხვირის სატყვივისა.
ბ. ა. თახარანიანი—1—1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
ბ. პ. პარაკიანიანი—1—1/2 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშობობით; ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლომონი—9—11 საათამდე. კბილების ავადმყოფობისა.
 ექიმი ქალი **ბ. შ. შახანიანი**—1/2—2 საათ. ქალისა და საბავშვო ავადმყოფობისა.
ს ა ლ მ ო ბ ი თ:

ბ. ა. თახარანიანი—7 1/2—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობისა.
ბ. ა. არბაზიანი—ავარმობის მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურს გამოკვლევებს 5—7 საათ.
ს. ბ. არაბანიანი—11—1 ს. უკეთეს სახლში და მხურვლთ მასსახს, აუტრის ყველის, გამართავს საექიმო გიმნასტიკის ექიმის დანიშვნით.
 რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შუბრი, დარიგებების უფასოდ; ფასი კონსულიუმისა და ოპორტივებისათვის—მორიგებით.
 დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ბ. შახანიანი**.
 Первая частная лечебница д-ра Навасардяна. Тифлиси, противъ памяти Воронкову.

სიერკელი

კერძო სამკურნალო

მედიკოს ნავასარიანისა
 (კუთხოში, გორანკოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღეს, კვირადღეებს გარდა

დიღალა ობიტი:

ბ. შ. ჩიკაბანი —9 საათიდან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობებისა.
ბ. ა. ახათიანიანი —11—12 საათამდე—კანონი, და ეფერულ ხორბრთული ავადმყოფობისა.
ფ. ი. შახანასანი—დიღალა 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ბ. ი. გემელიანი—12—1 საათ. ყელისა, მუხისა და ცხვირის სატყვივისა.
ბ. ა. თახარანიანი—1—1/2 საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
ბ. პ. პარაკიანიანი—1—1/2 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშობობით; ხუთშაბათობით და შაბათობით.

რები ერთმანეთს ენახებინან და საყვე-
დურს ეუბნებინან, არა პორტ-არტურის
ადება თქვენი ბრალი იყო, და არა
თქვენიო.

ხმა დადის, გენ. კურპატკინი ბარგს
ალაგებინებს და პეტერბურგში წამოსხე-
ლელოდ ეშაბდებო. („რ. ვ.“)

ახალი ამბავი

15 თებერვალს გუბერნატორის კან-
ცელერიაში, ტფილისის საგუბერნიო სამ-
ხედრო საკრებულოში, მოხდება კრება, რომ-
ელშიც უნდა გააჩინოს კერძო პირთ სა-
ჩიერებო, ტფილისის გუბერნიის სამხარო
სამხედრო საკრებულოებზე. კრება დი-
უხამს დილის ათ საათზედ.

* * * გ. ა. „ჩინოვანი“ კვანძებს „ას
რეაქციამ შემდეგი განცხადება დაუბა-
ნა თავის ხელის მოშერთვით: „განსაუთ-
რებულ გარემოებას გამო, ჩინოვანი კი
ვესტნიკ“-ის რედაქციას მოუხსნეს საშუა-
ლებმა გამოსცეს არამც თუ ჩვეულებრივი
ნომრები გაზეთისა, არამედ დეპუტატების
ცალკე გამოცემაც კი. ამიტომ დროებით
გაზეთის გამოცემა შეჩერებულ იქნა.
გაზეთის განახლების დღე ცალკე იქნება
გამოცხადებული და ხელის მოშერნი,
რასაკვირველია, დაკმაყოფილები იქნები-
ან, ვ. ი. ჩვენსა უნებურად შეწყვეტილ
ნომრებს გაზეთისას შემდეგ შევესებოთ.
ეს განცხადება ბათუმის არც ერთმა სტამ-
ბამ არ დაგვიბეჭდა და ამიტომ დაგვიან-
და მისი დარიგება. ეთხოვთ ჩვენს პატი-
ვებულ ხელის მოშერით, ნუ დაგვიტე-
რიან და გაითვალისწინონ ის მიიმე
გარემოებანი, რომელიც ჩვენ ათის
წლის განმავლობაში გამოვიშვებთ“. ეს
განცხადება ქუთაისის საგუბერნიო გამგე-
ობის სტამბაშია დაბეჭდილი.

* * * ტფ. ქალაქის საქმიო ლაბორა-
ტორიის გამგე გ. გ. ალიბეგოვი 9 თე-
ბერვალს შემდეგი დეპუტა მიიღო ბაქო-
დან თავისი ძმის ი. გ. ალიბეგოვისაგან:
„ქალაქში ხოცვა-ჟლეტა; შერობებს
ცეცხლს უკიდებენ, სრული ანარქია.
ბალახანაში თვითნებობა და ძალადობა
გამთვრებული. ეთხოვთ ტფილისელებს, შე-
ტყვიან შიართან კავასის მთავარ-მართე-
ბელს სისხლის ღირს მოსასპობლოდ და-
ნისძიებათა მიღების შესახებ.“

* * * ბათუმისგან გვატყობინებენ, რომ
აღგლიობრივ ქართველთა ერთ ჯგუფს
განუზრახავს ბათუმში გამოსცეს გაზეთი
„რუსულს ენაზე, პალმის „ჩინოვანის“
ვესტნიკ“-ის მაგივრად.
* * * ბაქოს ნაფიცმა ვეტილებმა რამდენ-
იმე დეპუტა გამოუგზავნეს ტფ. სამოსა-
მართლო პალატას და სთხოვეს გადას-
დონ ის საქმეები, რომელიც მახლობელ
დასავლეთში უნდა განეხილათ, რადგანაც
ბაქოში გამწვევებულ ხოცვა-ჟლეტას გა-

მა ვერ დავსწრებით საქმეთა განხილ-
ვისაო.

* * * ქუთაისისგან გვატყობინებენ, რომ
დღეს, 11 თებერვალს, ტფილისის სამო-
სამართლო პალატის სისხლის სამართლის
1-ლ დეპარტამენტის სესია ქუთაისში
გაჩვენეს ოზურგეთის მახრის მცხოვრებ-
თა: ნიკო ჩხაიძის (ასოთ-ამწყობი), იმანი-
შვილისა და თელიის საქმის, რომელთაც
პალატაგურა დანაშაულებას ბრალდებდა.
ბრალდებულნი თითქმის ორი წელიწადი
დაპატიმრებულნი არიან. დაპატიმრეს
1903 წლის მარტში და ბრალსა სდებენ
არა-ლეგალურ ლიტერატურის გაყრცე-
ლებას. ამ საქმის თაბახვედ დაბარებუ-
ლია 40-მდე მოწმე.

* * * გუმწინ-წინ, საღამოს 8 საათზედ,
სალაატის ბაზარში, მუხრანის ქუჩაზედ,
ვიღამაც რევოლვერი ესროლა და მალე
და მესამე უბნის პალატაგურა მანქანად
გურგუა მკვლელობა დამთავრა.

* * * „წ. ფურ“-ის პეტერბურგისგან
დებეშით ატყობინებენ, რომ 6 თებერ-
ვალს პეტერბურგელ ქართველ სენის
მოყვარულთ წარმოუდგენიათ ქართულს
ენაზედ „დექონა“, ოპერა რუბინშტი-
ნისა.

* * * ხვალ, შაბათს, 12 თებერვალს,
დაბა ყვირილში, ადგილობრივ თეატრ-
ში, ქუთაისის დრამატული დასის მიერ,
გ. ს. ალაქსია-შენსაშვილის მონაწილე-
ობით, წარმოადგენილი იქნება 5 მოქმე-
დებანი ტრაგედია „კი გრაქია“.

* * * გუმწინ-წინ ტფილისში გადამდგა-
და თამაქის ფაბრიკის პატრონი ნ. ა.
პოლჩანაძე. მისმა მემკვიდრებმა გა-
დასწყვიტეს, განსვენებულის მამის სლო-
ვის აღსანიშნავად 1,000 მან. შესწირონ
სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებუ-
ლებათ.

(ბლანხარდიანი)

მოთმინების ძაფი გასწყდა,
კმარა, რაც რომ შხამი ვწოვეთ;
დღე-ღამ ჩვენის მწარე ცხოვრებით
რაც ვესურს—ის ვერ მოვიპოვეთ:
ვშრომობთ, მაინც ვერ გავაქრეთ
სიღარიბე, მწუხარება—
ყოფთ სიმშოლი, შვილთ სიტეტლე,
ცრემლითა ფრჩვევა—მუდარება!
ჩვენც ვესურს შეგება! ვესურს დავეატყოს
მოკაშაშე მზის სხივებმა,
ჰავრმა და მასთან ერთად
სურნელოვან ყვავილებმა.
თავისუფლად ვესურს ნაფარდი,
სამეგობრო მასლათი,—
მოვითხოვთ, ამხანაგო,
რომ დაწესდეს რვა საათი!..

* * * ყველგან, ძმანო, საცა იყოთ—
საქმიოდეთ ან ისვენებდეთ;

სავალაოდ, ჩვენი თანამედროვე სახლ-
ბო სკოლა ძლიერ დაშორებულია ასეთს
დადასა და სიმპატიურს მიზანს. იმათ
პროგრამაში არ არსებობს თავისუფლება,
თვით-მოქმედება, განვითარება, სული და
ინტერესებისადმი სამახურა და სხვა. ენ-
ლანდელი სახლობო სკოლის მასწავლებ-
ლი გარდა იმისა, რომ ძლიერ სუსტად
არის მოზადებული საზოგადო მოღვა-
წეობისათვის (რომლის მიზეზი, რასაკვირ-
ველია, თვით ის სკოლაა, რომელსაც
იგი მოუშობდა), ჩამწყვედილია დღეს
ისეთგვარ პირობებში, რომ ყოველი მისი
მიზნა-მოხვრა, ყოველი ნაბიჯი გამოზო-
მილი და შეზღუდულია.

შისა და მოწურ მოაჩილებად აღზრ-
დელი, ფლიდობასა და პირმოთვინობას
მიჩვენული,—იგი შშიშარა, სულ-მოკლე,
პირობით და გაუბედავი გამოდის პრაქ-
ტიკულ ცხოვრებაში და ყოველნაირ და-
სრკალეობის წინაშე ქედს იხრის, სასებობი
ასრულეობს თავიანთ უფროსების ბრძანებას,
თუ გინდ ეს წინააღმდეგი იყოს სინიდი-
სისა, პედაგოგიურ პრინციპებისა და თვით
მისი შეზღუდულებისა და ღრმა რწმენისა.
ჰუმანიური სწავლა-აღზრდის მეცნიერება
ეუბნება მასწავლებელს: თვალყური ადევ-
ნე ყოველს ახალ გამოცვლევას სწავლა-
აღზრდის ისტორიაში, განავითარე შენს
თავში პრინციპით თვით-მოქმედებისა, იყავი
სული და გული სკოლისა, ბავშვის აღ-
საზრდელად იბედილანდავლელ იმ წიგნე-
ბით, რომელნიც თავიანთის შინაარსით
მიუდგებიან მათის განვითარებასა და ცოდ-
ნათა ხარისხს, დიკავე მტყიცე და მას-
თან მეგობრული, ძმური კავშირი საზო-
გადობასთან, ბავშვებს შობობებთან და
მათთან ერთად ხელი-ხელ ჩამშობი იზ-

ქარხანებში, ფაბრიკებში,
ანუ ხალხში ჰქადებდეთ,—
მედგარის ხმით შემოსახეთ:
„რვა საათი გავმუშავეთ,
რვა გვაძინეთ, რვა საათიც
თავისუფლად გვგატარეთ!“
აგერ შეხეთ, შრომის შემდეგ
რა ტუბილად სძივეს საქონელი,
ჩვენი უფრო მზიარულობს
ტყის ნაღირი, ცის ფრინველი,
მაშ ჩვენ რად ვართ საციკხანი,
თუ მოვითხოვთ კაცთ უფლებას,
შესვენებას, ძილს და ჩვენთვის
თავისუფლად დროს ტარებას! * * *

მონობაში როგორ ვსცოცხლობთ,
თუ კი გვიდა პირში სული?
ამხანაგო, შევეკავებოდე,
მიხვდეთ, რით ვართ დაზარალები!
დავარზდეთ და ყოველ კუბხით
დავარზდეთ მოყოლოდით,—
ნუ მოველით წყალობას,
რაც გვესურს—ძალით მოვიპოვით.
შრომისა და გაქირვების
ხმა წრველი თუ გააზრდება,—
ჩვენ მაგიერ საღიადობთ
თვით რიყის ქვა ატორდება! * * *

გრწამდეთ, ძმანო, ერთის აზრით
აგი სული არ გვაბრძოლებს,—
თვით სიმართლევ, სამართალი
წინ მიგვიძლი და გვაძობებს,
რომ შევიგნოთ ქვემარტივი
შემოქმედის წმინდა მტკიცება:
„მას, რომელმაც შეტყირმა
მაიკუთვნა თვის ხატება,
საუკუნო ღვთის მსგავსების
მიანიკა გრძობა, სული,—
არა ჰმეორობს, მატლისაგეთ
იყოს ქუჭკუი ჩამარხული!..
მაშ ყველგან და ყველასთანა:
მინდორ-ველოდ, ქარხანაში,
სტუბრობაში, მეჯლისებში
და ხალხისა დიდ კრებაში“

მედგრისა ხმით შემოსახეთ:
„რვა საათი გავმუშავეთ,
რვა გვაძინეთ, რვა საათიც
ჩვენს ნებაზედ გავგატარეთ!“
თავისუფლად ვესურს ნაფარდი,
სამეგობრო მასლათი,—
მოვითხოვთ, ამხანაგო,
რომ დაწესდეს რვა საათი!..

ბ ა ქ ო ს ა მ ბ ა ნ ი .

ბაქოვან გვწერენ: ეს მესამე დღეა,
რაც მთელი ქალაქი შიშის ზარით არის
შეპყრობილი. ქუჩებში და მოედებში
ხალხი ასობით იხოცება. სახლები, დუქ-
ნები და ათასგვარი დაწესებულება ყვე-
ლაფერი დაკეტულია. ყველა სახლი ცი-
ხეთაა გადაკეცილი. ქუჩებში თათრობა

(მდაბო ხალხი და მოვაქრებები) ჯგუფ-
ჯგუფად დადიან, ან აქ-აქ დგანან რე-
ვოლვერებით ხელში (ზოგს თოფებიც
აქვთ) და სომხებსა ხოცავენ. მიმსვლი
ქალაქში შესწყდა. ქალაქი სხვა ქალა-
ქებსაც მოსწყდა, რადგან არავინ გამო-
დის გარეთ და დეშეშა ვერავის უშხა-
ნის. ტელეგრაფში მოსული დებეშები
მესამე დღეა, რაც აწყვიან; რადგან წი-
ლები არავინ არ არა. გუმწინ და გუმწინ-
წინ დაბოკლთა რიცხვი რამდენსამეხამ-
დე აღიდა; ქუჩებში ყველგან მოკლე-
ლები ყრია რამდენსამეხამდრებით, ხან
მთელს ღრბაც. ყველგან თოფების და
რევოლვერების სროლა და გრილო მო-
სმის. თათრები და სომხები ერთმანეთს
ესებრიან. ზოგან რუსებსაც ჰკლავენ. ამ-
ბომბენ, რამდენიმე ქართველიც მოუკ-
ლავთო, ყველა სომხი ჩაკეტილია. ზო-
გან სომხობაც ჩართულია ბრობაში, ქე-
ჩებში ვაშალთან და თვითონაც რევოლ-
ვერებს ესვრიან თათრებს! ამ სათში (დი-
ლის 10 საათი ოთხშაბათს) საგუმბერნიო
სამხარეთელოს და ორ ფოსტა-ტელ. გან-
ყოფილებას იკლებენ თათრები. ჯარი
ძლიერ ცოტაა: ერთი ბატალიონი და
ერთი „სოტია“ ყაზახებისა. ესენი უძ-
ლებები არიან. აღმინსტრატცია ვერ
შეძლებს მტყიცე ღონისძიებათა მიღებას;
რადგან საქმეს უფრო გააძველებს და მაშინ
ეს ჯარი ვერაფერს გაიჩვენებს. ყაზახები
და სალდათები ჯგუფ-ჯგუფად დაიარე-
ბიან აქ-იქ, მაგრამ თათრობას ხელიდან
რევოლვერებსა და თოფებს ვერ აბრძვენს,
ვერ შედებს.

ახლო-მახლო სოფლებიდან თათრობა
ფეხით და ცხენებით ქალაქში მოდის.
ყველა შეიარაღებულია ბერდანებითა და
სხვა იარაღით. გუმწინ და გუმწინ-წინ შ-
ათასამდე შემოსულია ბაქოში. გუმწინ
სამგან ცეცხლი წაუკიდებს სახლებს და
გარეთ გამოხულ ხალხს თოფებს უშენ-
დენს.
დღეს დილით ადრე ტფილისიდან მო-
ციდა 1 ბატალიონი ერევის პოლკისა;
ხვალ ორი ასეული და ერთი ბატალიონი
ნიკო მთა. გუმბერნატორი სამჯერ მეტ
ჯარს თხოვლობს: გუმწინ ვიო-ეზო ვი-
ლუ უტრობა სომხები დადიანენ და
სომხებს ახალ-ახალ რევოლვერებს და
პატრონებს ურიგებდენს.

6 თებერვალს აქვთ ბაქოში განწყვე-
ტილი სისხლის ღვრა აღგლიობრივ სომ-
ხებსა და თათრებს შორის. ამ გარემო-
ბამ თავხარი დასცა როგორც ბაქოს, ისე
ტფილისის საზოგადოების განათლებულ
ნაწილს—ინტელიგენციას. ძლიერ დაფა-
ცურდა ტფილისის თვით-მმართველობის
წარმომადგენელი ბ-ნი ვერმიშვევი. 9 თე-
ბერვალს ბ-ნი ვერმიშვევი შემდეგი გან-

ფერმენტად, ახალი თაბის ბრწყინვალე
მომავლის შემოქმედ ძალად?.. რა სა-
ყვირელია, არა! მეგრე რას შერება საზო-
გადობა, რომელსაც ეს სკოლა გუთუ-
ვნის და რომლის შვილებიც ეს იგი ბრძის!
რატომ სდუმს იგი, რატომ არ იღებს
არსებით მონაწილეობას ასეთს რთულსა
და ბედის გადამწყვეტს საქმეში? რატომ
არ მოსახოცს იგი სამოსწავლო უწყების
წარმომადგენელთ, რომ იმ სკოლაში,
რომელსაც არავითარი ნივთიერი დახმა-
რება და შეწევნა მთავრობის მხრივ არა
აქვს და მთელი მისი არსებობა მასზე
საზოგადოებაზე, არის დფუძნებული,
დაპყარდეს სწავლა-აღზრდის საქმე ნამ-
დვილ რაციონალურ ნიადაგზე; მიეცეს
სრული თავისუფლება მასწავლებელს ას-
წავლოს ბავშვებს იმ წიგნით, რომელიც
მას მოსწონს, რომელსაც იგი სცნობს
უფრო სასარგებლო იარაღად ბავშვების
გონებისა და ხეობის განვითარებისათვის
და რომელიც თავისის შინაარსით იზო-
დაეს მოსწავლეთა და მათს ყურადღებას!
ამისთვის საჭიროა მოზადება. მეგრე არის
ჩვენი საზოგადოება ჯეროვანად მოზა-
დებული ასეთის რთულისა და სერიო-
ზულ საქმისათვის? სოფლის საზოგადოება
სრულიად არ არის მოზადებული: მისი
განვითარება, სამწუხაროდ, ჯერ იქამდის
არ მისულა, რომ თავის ვინაობის იზი-
გინად აღზრდაზე იქონიოს მსუჯელობა. სა-
ზოგადოება ხან თავის სურვილით და,
უშეტეს ნაწილად კი, ბევრის ჩიხინით და
ჩაგონებით ხსნის სკოლას, კისრულობს
მის შენახვას, ყოველნაირ ხარჯების გა-
სწორებასა და დაფარვას. თავისივე სურ-
ვილით შექვავს ამ სკოლაში ბავშვები;
როგორ და რა რიგად იზრდებიან მისი
შვილები ამ სკოლაში, ამაზე სრულია-

ფელქონი

ბიუსროპარტია და პედაგოგია.

პირველ დაწყებითი სკოლა ხალხის უმ-
რავლეს ნაწილისათვის ერთად ერთი ია-
რალია ყოველ ახალ ცოდნის გასავრცე-
ლებლად; იგი აკავშირებს და აერთებს
ხალხის უმრავლესობას მთელის კაცობ-
რიობის სულიერსა და ზნეობრივს ნაწარ-
მოვთან. ბავშვის გონება, გადვიძებული
და გამოფხინებული სკოლის სისტემა-
ტური მუშაობით, ხდება ნაყოფიერი ნია-
დად, რომელიც იფურჩქნება და
მყვადდება სასარგებლო ცოდნა და მეც-
ნიერება. ბავშვის ჯერ კიდევ ნორმი გო-
ნება ჰპოულობს სასარგებლო მისამდე
მავლის ოქ, საცა მისი ტოლ-ამხანაგი
ვერსეცა ვერ შედევს; იგი მკვირცხ-
ლად, ცოცხლის ენერგიით ითვისებს
სწავლას, ვსწრაფობს ახალ გამოცვლევათ
მეცნიერებაში. მხოლოდ სახალხო, ელენ-
გეტიკური სკოლის შეუძლიან ნორმის
თაბის წრიდან გამოიყვანოს პრავალი
ნიშით დაჯილდოებული პირი, რომელ-
ნიც წინ სწევნ სწავლა-მეცნიერებას და
პროგრესის ბეჭედს ასმენ თანამედროვე
მკრთალს, შევიწროებულს ცხოვრებას.
ხოლო ასეთს დიდ დანიშნულების გან-
ხარცილებდა და ასეთ სანატრელ მიზნის
მიღწევა მაშინ შეუძლიან სკოლისა, როცა
იგი სწავლებს თავისუფლებით, ენახურე-
ბა ჰუმანიური პედაგოგის პრინციპებს,
ცოცხალ პრაქტიკას და არა ოფიციალურ
ქალოდებს, როცა მშრალი ტენდენციუ-
რი ფორმალიზმი სულსა და გულს არ
უზუსავს და მის სვეტაც ლტოლვილებს
დასაბამივი არ ახშობს. ნამწუხაროდ და

და არ ფიქრობს და არ ზრუნავს, რაც
დგან არ იცის, როგორ იფიქროს და
ვერ ხვდება, როგორ და რაზე იზრუნოს.
მთელი სკოლა მთავრობის ხელშია, და
იმას, რა რჯულზედაც უნდა, იმ რჯულ-
ზე ნათლავს მასწავლებელსაცა და სკო-
ლასაც. თუმცა საზოგადოებას ჰყავს თა-
ვისი წარმომადგენელი „პოპეჩიტელი“
(მზრუნველი), მაგრამ ესეც ისევე უსწე-
ულელ გლვება წრიდან არის ამოჩრეუ-
ლი და სრულიადაც არ ესმის თავისი
დანიშნულება. ხან კი ესმის, მაგრამ სხვა
ნაირად, ისე კი არა, როგორც უნდა ეს-
მოდეს.

ერთმა ახლად ამოჩრეული „პოპეჩი-
ტელი“ მიმართა მასწავლებელს: „კო-
ლობამ „პოპეჩიტად“ ამოაჩრია და
მითხარი, რა უნდა გააკეთოს „პოპეჩი-
ტელი“.

მასწავლებელმა შეხება მის წინ მდგო-
მარე უსწავლელ სოფლის გლვებს, რა-
მელსაც არც სიტყვით, არც საქმით არა-
ვითარი სკოლის ხელმძღვანელობა არ
შეეძლო და უპასუხა: „პოპეჩიტელი“
უნდა ენახურე მასწავლებელს: შეშა
დაუპოს, ქალაქიდან ნავით, შეპარი და
თუ რამე დასჭირდება მოუტანოს და
ყოველი მისი ბრძანება აღასრულოს...
მართლაც ასეთს როლს ასრულებდა ეს
„პოპეჩიტელი“ მთელის წლის განმავლობა-
ში. მეგრე კი, როცა სხვის ჩაგონებით
მიხვდა და გაიგო, რომ „პოპეჩიტელი“
სკოლის მოსამხანაურე კი არა, მასწავლე-
ბლის უფროსა და შეუძლია მისი და-
ბეჭდება ინსტექტორთან ან დირექტორ-
თან, «კლიაონიკობას» მიჰყო ხელი და
რომ არა სინერგით სკოლის საქმეებში
რომ მასწავლებელი იძულებული გახდა
მეიტაცებინა სკოლა და სხვგან ეთხოვა-

დაც არ ფიქრობს და არ ზრუნავს, რაც
დგან არ იცის, როგორ იფიქროს და
ვერ ხვდება, როგორ და რაზე იზრუნოს.
მთელი სკოლა მთავრობის ხელშია, და
იმას, რა რჯულზედაც უნდა, იმ რჯულ-
ზე ნათლავს მასწავლებელსაცა და სკო-
ლასაც. თუმცა საზოგადოებას ჰყავს თა-
ვისი წარმომადგენელი „პოპეჩიტელი“
(მზრუნველი), მაგრამ ესეც ისევე უსწე-
ულელ გლვება წრიდან არის ამოჩრეუ-
ლი და სრულიადაც არ ესმის თავისი
დანიშნულება. ხან კი ესმის, მაგრამ სხვა
ნაირად, ისე კი არა, როგორც უნდა ეს-
მოდეს.

ერთმა ახლად ამოჩრეული „პოპეჩი-
ტელი“ მიმართა მასწავლებელს: „კო-
ლობამ „პოპეჩიტად“ ამოაჩრია და
მითხარი, რა უნდა გააკეთოს „პოპეჩი-
ტელი“.

მასწავლებელმა შეხება მის წინ მდგო-
მარე უსწავლელ სოფლის გლვებს, რა-
მელსაც არც სიტყვით, არც საქმით არა-
ვითარი სკოლის ხელმძღვანელობა არ
შეეძლო და უპასუხა: „პოპეჩიტელი“
უნდა ენახურე მასწავლებელს: შეშა
დაუპოს, ქალაქიდან ნავით, შეპარი და
თუ რამე დასჭირდება მოუტანოს და
ყოველი მისი ბრძანება აღასრულოს...
მართლაც ასეთს როლს ასრულებდა ეს
„პოპეჩიტელი“ მთელის წლის განმავლობა-
ში. მეგრე კი, როცა სხვის ჩაგონებით
მიხვდა და გაიგო, რომ „პოპეჩიტელი“
სკოლის მოსამხანაურე კი არა, მასწავლე-
ბლის უფროსა და შეუძლია მისი და-
ბეჭდება ინსტექტორთან ან დირექტორ-
თან, «კლიაონიკობას» მიჰყო ხელი და
რომ არა სინერგით სკოლის საქმეებში
რომ მასწავლებელი იძულებული გახდა
მეიტაცებინა სკოლა და სხვგან ეთხოვა-

